ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 29 (1402) | 30 დეკემბერი, 1994 წელი

პარლამენტის წინასაახალწლო სხდომა

გუშინ გაიმართა 1994 წლისათვის ბოლო, წინასაახალწლო სხდომა. უძღვებოდა პარლამენტის სპიკერი ბატონი ვახტანგ გოგუაძე, რეგისტრაციამ დამსწრე დეპუტატთა უნვეულო ციფრი აჩვენა — 224. სხდომას ესწრებოდა პროპორციული თუ მაჟორიტარული წესით არჩეული ყველა დეპუტატი.

მოსკოვიდან ჩამობრძანებულიყო რუსეთის მოქალაქე და ჩვენი დეპუტატი... ცნობილი ხელოვანი ზურაბ წერეთელი...

დარბაზში იჯდა კაცი, რომლის დანახვამ ისე გააოცა ჟურნალისტები და დეპუტატთა კორპუსი, თითქოს ნუგზარ ერისთავი გამოცხადებულიყოს სესიაზე... ეს კაცი გახლდათ თვით ბატონი ასლან აბაშიძე!

100%-იანი დასწრებით სახეგაბადრულმა სპიკერმა დეპუტატებს განუცხადა:

— ბატონებო და ქალბატონებო, განცხადებების გაკეთების სურვილი აქვს რამდენიმე პარლამენტარს, ვინ არის მომხრე დროის ნახევარსაათიანი მონაკვეთი დავუთმოთ განცხადებებს და შემდეგ გადავიდეთ ჩვენს ძირითად, დღის წესრიგით გათვალისწინებულ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე?

— ვახტანგ, — გაისმა სახელმწიფოს მეთაურის ხმა — ვიდრე თქვენს წინადადებას კენჭს ვუყრიდეთ, ვსარგებლობ თავმჯდომარის უფლებით და მე მინდა ერთი წინადადება შევთავაზო კოლეგებს.

სპიკერი ორივე ხელს წევს თანხმობის ნიშნად და აცხადებს:

— სიტყვა ეძლევა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

შევარდნაძე კათედრასთან მიდის და აუდიტორიას მიმართავს:

— ბატონებო, ამას საყვედურისთვის არ ვამბობ, მაგრამ იმდენჯერ დამიკარგავს დრო თქვენი მიზეზით არაკანონშემოქმედებით საკითხებზე, რომ ნება მომეცით ერთი დღე, როგორც იტყვიან, მეც „ჩავაგდო“. თუ ის მიზანი, რაც მე მაქვს დასახული განხორციელდა, გარწმუნებთ, ეს დღე დაკარგულად არამც და არამც არ ჩაითვლება. გთავაზობთ გულახდილ დიალოგს. წელიწადში ერთხელ პარლამენტარებსაც გვეკუთვნის ალბათ, ფიროსმანის არ იყოს, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზე, ჩვენს შემთხვევაში, ვისაუბროთ ჩვენი ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე, ჩვენს როლზე, ჩვენს პირად ძალისხმევაზე, ვისაუბროთ გულახდილად. ცხადია ურთიერთწყენის, შეურაცხყოფის გამორიცხვით.

(ამ დროს წესისამებრ შემოაქვთ სახელმწიფოს მეთაურთან ჩაი. შევარდნაძე გაიღიმებს და აგრძელებს) ვინაიდან ჩაის მფლობელი ამჟამად თქვენს შორის მხოლოდ მე ვარ, ნება მიბოძეთ საუბრის დაწყება ვითავო.

სასიამოვნოდ გაოცებული დარბაზი შეჩოჩქოლდება და ერთხმად ადასტურებენ შეთავაზებულ წინადადებას.

სახელმწიფოს მეთაური ჩაის მოსვამს, აკეთებს ხანგრძლივ პაუზას და იწყებს საოცრად გულახდილ მონოლოგს.

ბატონებო, თქვენ იცით, ჩემი არცთუ ხანმოკლე მოღვაწეობა დიდ და საპასუხისმგებლო პოსტებზე მსახურებაში მაქვს გატარებული. მაგრამ არასოდეს არ მქონია მხრებზე წამოკიდებული პასუხისმგებლობის ისეთი დიდი ტვირთი, როგორიც მაქვს დღეს, რადგან ადრე სხვისი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო ჩემი ქვეყანა და ამდენად ჩემი და ნებისმიერი რესპუბლიკის პირველკაცობაც გარკვეულწილად ბუტაფორიული გახლდათ, თუ უკაცრავად არ ვიქნები, ფეხისალაგის მშენებლობაც კი „ჩვენზე მხრუნველი“ დიდი პატრონებისათვის უნდა შეგვეთანხმებინა. ასეთი იყო მაშინ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის, როგორც დაპყრობილი ქვეყნის ბედი. აღარაფერს ვამბობ სხვის ომში ხმლის ქნევაზე, რომელმაც რამდენსამე წელიწადს მომიწია და ვფიქრობ არცთუ უშედეგოდ, არცთუ უშედეგოდ ჩემი სამშობლოს ინტერესებისთვისაც. ბატონებო, დამოუკიდებელი ქვეყნის მეთაურობა, თან ისეთი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მქონე სახელმწიფოსი, როგორიც საქართველოა გოლგოთის გზაზე შედგომას ნიშნავს, ეს ყველაფერი თქვენთვისაც ძალიან კარგად არის ცნობილი და გაშინაარსებული, მაგრამ მოგახსენეთ იმიტომ, რომ უბრალოდ ცოდვაა ადამიანი, როდესაც უამრავ სახელმწიფოებრივ პრობლემებს, უამრავ ტკივილსა და საფიქრალ-საზრუნავს თანამოძმისაგან ნასროლი ისარიც მიემართება ხოლმე.

ბატონებო, ამაზე მეტს აღარ გავშიფრავ და კონკრეტულად არავის



ლიბება რუსეთის სახელმწიფოსთან.

ჩენნეთს სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ თავიანთ გმირულ და უთანასწორო ბრძოლაში.

რაც შეეხება შინაურ პრობლემებს.

ვის სჭირდება ძალისმიერ სამინისტროთა ისეთი ხელმძღვ[illegible] მელნიც საკუთარი ქვეყნის პარლამენტს, უზენაეს ორგანოს, ჩუმად იგდებენ?

ვის სჭირდება მაშველთა კორპუსად სახეცვლილი მხედრიონი, რომელიც ერთი კაცის, ბატონი ჯაბას დაჟინებითა და მუქარის ფონზე შეიქმნა? იმ ბიჭებს, რომელთაც იბრძოლეს აფხაზეთში, გზა უნდა გავუხსნათ თავდაცვის სამინისტროში. ვისაც ეს არ სურს, ჩავაბათ ბიზნესში, მივცეთ პრივილეგიები, რადგან აქ ყველაფერი გაანაწილეს საქმოსნებმა მაშინ, როცა ისინი მტერს ებრძოდნენ, სამართლიანობა კი აღსადგენია. ვფიქრობ ეს ვარიანტი მაშველთა კორპუსისთვის [illegible] უნდა იყოს ცუდი.

მე ვერ ვამჯობინებ უმრავლესობის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც სახელმწიფოს მეთაურის მხარეს დაჭერა პირადი პოზიციების გასამაგრებლად სჭირდება, იმ ოპოზიციონერებს, რომელნიც ცდებიან თუ არ ცდებიან, სწორედ მამულის ინტერესების გამო იმაღლებენ ხმას და ხშირად პირად კეთილდღეობის შესაძლებლობაზე უარს ამბობენ.

რითი სჯობია, მაგალითად, ქალაქეთა კავშირის წარმომადგენელი ის მინისტრი ხაზინის [illegible] მუშტრის თვალით უყურებს [illegible] პუბლიკელ რეზო შავიშვილს, ვინც სახელმწიფოს მშენებლობისათვის, როგორც იტყვიან წელებზე ფეხს იდგამს?

ასე რომ სახელმწიფოს მეთაურის უზენაესი მიზანი სახელმწიფოებრიობაა და ჩემს მხარდამჭერად აღვიქვამ მხოლოდ იმას, ვინც სახელმწიფოს მშენებლობას უჭერს მხარს და იღწვის ამ მშენებლობისათვის და არა იმ ადამიანებს, რომელნიც თვალებში შემომციცინებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ჩემს ხელთ არის ძალაუფლება და ამასვე აკეთებდნენ გუშინ სხვის მიმართ, როცა სხვის ხელში იყო ძალა.

მე არც ამ ადამიანების მოკვეთისაკენ მოგიწოდებთ, უბრალოდ ყველას თავისი ადგილი მივუჩინოთ და თავისი საქმე ვაკეთებინოთ. არის

დასასრული მე 7 გვ.

ომის მძიმე ზამთრისპირა დღეები იდგა. არ იყო სინათლე, სითბო. იყო შიში. ადამიანები შიშშილობდნენ. წვიმდა. სოხუმის ზღვისპირეთში რუსთაველის ქუჩას მივუყვებოდი. ცრიდა და ისედაც ომით შიშნაჭამ ადამიანებს სევდითა და უიმედობით ავსებდა. ჩემს წინ ახალგაზრდა მანდილოსანი მიაბიჯებს და გამზირს სინათლით, სილამაზითა და სითბოთი ავსებს. მოულოდნელად იასამნის განძრცულ ბუჩქთან ჩერდება, ცოტახნით აცქერდება, მერე ნელა იხრება და ერთს, ასევე განძრცულ რტოს ამტკრევს და მკერდზე ფრთხილად იბნევს, თავისთვის იღიმება და მიდის...

მეც მეღიმება და მიხარია, რომ ადამიანებს, ომის ამ მძიმე პირობებში შერჩათ სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარი.

... და ჩემს თვალწინ ცოცხლდებიან გაზაფხულის ლამაზი დღეები და იასამნთა წითელ-თეთრად მოყვავილე რტოები.

დღევანდელი ჩვენი ყოფა რაღაცით ძლიერ ჰგავს იასამნის იმ განძრცულ რტოს, ლამაზმა მანდილოსანმა რომ გაიყოლა მკერდით, მაგრამ უნდა დავიჯეროთ, რომ გაზაფხული ჩვენთან ერთად ისევ შემოაბიჯებს სოხუმის ლამაზ ქუჩებში და ისევ ვიხილავთ იასამნთა მოყვავილე რტოებს.

მაგრამ თემას გადავუხვევ.

ისევ ომისდროინდელ ეპიზოდს ვიგონებ:

ორი-სამიოდე დღის შემდეგ ვზიდავ ჩემს კაბინეტში, მაგიდაზე, ვაზაში დევს სწორედ ისეთივე განძრცული იასამნის რტო, რომელიც ქუჩაში მანდილოსანმა მიიბნია მკერდზე. გაოცებული ვკითხე მდივან გოგონას და ვეკითხები, საიდან გაჩნდა იასამნის ეს განძრცული რტო ჩემს კაბინეტში.

— საიდამ მოიტანა და აქ დატოვა, იყო პასუხი.

ვეძახი საიდას, მაღლობას ვუხდი საჩუქრისათვის და ვკითხავ, რა მოეწონა ამ განძრცულ რტოში.

— ჩვენს ყოფას მაგონებს, ჩვენც ამ რტოსავით განვიძარცვეთ, მაგრამ უბედურებაშიც არის მშვენიერება, — ოდნავ იღიმის იგი.

— გიყვარს ვანმე? — ჩემდაუნებურად, გულწრფელად და გულუბრყვილოდ ვეკითხები.

— მიყვარდა.

— ვინ იყო, თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს? — ისევ ჩავეძიე.

— ქართველი.

— ახლა?!

— ომმა ყველაფერი წამართვა, მათ შორის სიყვარულიც, ბედნიერებაც, — სევდიანად იღიმის საიდა და კაბინეტს ტოვებს.

დიახ, ომმა ყველაფერი თუ არა, ბევრი ისეთი რამ წავართვა და იმდენი ნაჭრილობევი დაგვიტოვა, რომ ვერც წარმოვედგინა.

როგორც ვიცი, აფხაზი გოგონა — საიდა ჩვენსავით, ისიც არ ცხოვრობს ღღეს სოხუმში, არ ცხოვრობს იმიტომ, რომ იქ არ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ნორმალურად იცხოვროს.

უნდა ვიფიქროთ, რომ სულ მალე ალბათ ისევ ერთად მოგვიწევს იქ ცხოვრება.

ასეთი ეპიზოდიც დამამახსოვრდა:

ისევ სოხუმის ქუჩას მივუყვები. წინასაახალწლო ზამთრის ღღეებია. თოვს, ყინავს. ვხედავ, ჩემს წინ მოხუცი მამაკაცი მაქანქალობს. უცბად ჩერდება, იხრება და რაღაცას იღებს ასფალტიდან. მგონია, რაღაც ძვირფასი რამ იპოვნა.

არა, ჩიტი, უმწეო, პაწაწინა, დამზრალი, მოყინული ჩიტი მოუქცევია მუჭში და ნელა, დაჟინებით, გულდაგულ ორთქლავს, სუნთქვით ათბობს. შემდეგ ფრთხილად უბეში ისვამს და გზას აგრძელებს. მეც ფეხდაფეხ მივყვები. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩერდება, უბეში ხელს იყოფს, უკვე შეთბუნებული ჩიტი ამოყავს, ხელისგულზე ისვამს. ჩიტი ფრთების შლის და მოფრინავს.

რა უნდა იყოს ამაზე ძვირფასი და საამაყო, დეხმარო გასაჭირში ჩავრდნილს და არა მხოლოდ ადამიანს, მით უფრო, აჩუქო სიცოცხლე და ეს მაშინ, როცა თავად გიჭირს და გასცემ მას, რაც თავად არ გყოფნის, თუ ვნებავთ, სითბო, სინაზე, სიყვარული...

დედაჩემი რძეს რომ შეადგამდა ცეცხლზე, სულ ზედვე დასტრიალებდა, ერთი წუთითაც არ ტოვებდა, აღუღდა და გადაიღვრებაო. ასე უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს, რამეთუ ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიურობა ცეცხლზე შედგმულ რძეს წაგავს...

ისევ დედაჩემზე:

იგი პერის ცომს რომ მოზელდა, საგულდაგულოდ შეფუთნიდა, ასე, სითბოში უფრო ჩქარა და უფრო მალე აღუვდება და ამოვალ.

ადამიანებსაც ასევე სითბო, სინაზე და მოფერება უნდათ, გაფრთხილება უნდათ, რამეთუ მარტო ფიზიკის კანონი როდია სითბოს მიღება-გაცემა, ადამიანური გულის კანონია იმ განსხვავებით, რომ ფიზიკის კანონით სხეული იმ სითბოს აბრუნებს, რასაც იღებს, გულს კი მიღებული სითბო, სინაზე, სიყვარული ათწილ, ასწილ შეუძლია დაბრუნოს.

ცოტა ასეთი სითბო, სინაზე, მოფერება როდი მიგვიღია ჩვენ, დევნილებს თბილისელებისაგან.

ღღეს უჭირთ ადამიანებს. ბევრს, ძალიან ბევრს აკლია სითბო, სინაზე, სიყვარული, პური არსობისა.

ოღონდაც არა მხოლოდ პურითა ერთითა.

უბედურია ის, ვინც ბედნიერებას ვერ გრძნობს, ბედნიერების ფასი არ იცის, მაგრამ ორწილ უბედურია ის, ვინც სხვას ართმევს ბედნიერებას, სხვათა წილ ბედნიერებას თავად ისაკუთრებს. მაგრამ ისევ და ისევ ასწილ უბედურია ის, ვინც სხვისა სიცოცხლეს ხელყოფს, რამეთუ ადამიანი უპირველესი ხატია ღვთისა და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ეს ღვთის ხელყოფაა.

არის ასეთი ეპიზოდი ბიბლიიდან, კერძოდ, ძველი აღთქმიდან:

როცა ბეთლემელი მწყემსი — დავითი ისრაელიანთა გაერთიანებულ სამეფოს ჩაუდგა სათავეში, გადაწყვიტა, დედაქალაქი ხებრონიდან იერუსალიმში გადმოეტანა და ასეც მოიქცა. შემდეგ მან გადაწყვიტა ასევე ისრაელიანთა სიწმინდისათვის — კიდობანისათვის იქ დაედო ბინა. მან შეკრიბა რჩეული ისრაელიანები, დაახვენს ღვთის კიდობანი ახალ ურემზე და ზარ-ზეიმითა და ცეკვა-თამაშით გაუყვენს გზას იერუსალიმისაკენ. მაგრამ გზაში მოულოდნელად ხარებმა წაბორძიკეს და კიდობანი ურმიდან ძირს დაცურდა. ამ დროს ერთ-ერთმა, გამცილებელთაგანმა, რომელსაც ყუჩას ეძახდნენ, ხელი შეაშველა კიდობანს, ძირს, მიწაზე რომ არ დაცურებულიყო, მაგრამ იგი იქვე განიგმირა, რადგან ღვთისგან აკრძალულია მომაკვლევი ხელის ხლება კიდობანზე.

ადამიანიც ასევე ღვთის კუთვნილებაა, ღვთის ხატია და არავის აქვს უფლება მისი სიცოცხლის ხელყოფისა.

თვით ივანე ღვთისგან კურთხეულ მეფე დავითს, რომელსაც გაერთიანა და გააძლიერა ისრაელიანთა საქვეყნო, და, რომელმაც გადაწყვიტა კიდობნისათვის ღვთის სახლი აეშენებინა, ღმერთმა წინასწარმეტყველის ნათანის პირით აუწყა, რომ „ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი და ბევრი ომი გაქვს გადახდილი, ამიტომ შენ არ ააშენებ ჩემს სახელზე სახლს“ (ნეშტთა, 28,8).

... და ეს საპატიო მისია დავით მეფის მემკვიდრემ სოლომონმა აღასრულა. ამით ის მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში რამოდენიმე წელია იმდენი სისხლი იღვრება, არ შეიძლება ეს სიკეთედ მოუბრუნდეს ქართველ ხალხს. ომმა, სისხლის ღვრამ, რაც აფხაზებს დამართა, დღესავით ნათელია. აფხაზი სეპარატისტები ქართველ ხალხს აბრალებდნენ აფხაზთა გენოციდს, თავად კი მოუწყვეს სამდვილი გენოციდი საკუთარ ხალხს. ღღეს აფხაზეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ერთ პატიოსან ადამიანს არ დაედგომება. ყოველივე ამას ჩეჩნეთის ამბებიც დაემატა. ღღეს მოვლენები ისე ვითარდება, რომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და გამჭრიახობა, რაც უმოქმედობას სრულიადაც არ ნიშნავს. ჩვენ დიდი გარჯა და მუშაობა გვმართებს, რომ აფხაზეთსა და მის გარეთ განვითარებული მოვლენები ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენოთ, არა ყვირილითა და ბაქიაობით, არამედ უნუმრად და საქმით.

კიდევ ერთი ეპიზოდი ბიბლიიდან:

სოლომონ მეფეს საქართლის გასარჩევად ორი დედაკაცი ეწვია. წინა ღამით ორთავეს ერთ ჭერქვეშ სძინებოდათ თავიანთი ბავშვებით, ერთის თავისი ბავშვი ძალში შემთხვევით მოკვდა, მოგუდული ბავშვი მძინარე დედისათვის მიეგდო, იმისი ბავშვი კი თავად მიეკვანა. ახლა ორივე დედაკაცი მკვდარ წინაშე იდგა და ცოცხალი ბავშვის დედობას იჩემებდნენ. მეფემ მოითხოვა სასვარი, უხმო მსახურს, უბრძანა ხატკვარი მოეტანა, ბავშვი ორად გაეკვეთა და ორივე ნახევარ-ნახევარი დედებისათვის გადაეცა. შეშფოთდა ერთი დედაკაცი, ბავშვი ოღონდაც ცოცხალი დატოვეთ, არ გაკვეთოთ და, ვისაც გინდათ, ამას მიეცითო. მეორე დედაკაცი კი გაჩუმდა, გაჩუმეთეთ შუაზე, არც მაგის ცოცხალი ბავშვი, არც — მეო. მიხვდა მეფე, რომელიც იყო ჭეშმარიტი დედა და ბავშვიც სწორედ მას არგუნა.

ღღეს იმ ბრძენი დედაკაცივით ბევრი იჩემებს საქართველოს დედობასა თუ მამობას, ნამდვილად კი დედინაცვალნი და მამინაცვალნი მოგვმრავლდნენ და სისხლიც ბევრი დაღვრა. მაგრამ არ არსებობს მკვლელის ბედნიერება.

არავითარი გარეშე ძალა ჩვენი ხსნა არ არის. ხსნა ჩვენი ჩვენშივეა და ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის ძალა, რომელიც წაღმართული გზით წაგვიყვანს. მაშინ ღმერთიც ჩვენთან იქნება და ჩვენ — ღმერთში.

ჩვენ, ქართველები სამხრეთელები ვართ და სამხრეთის მცხუნვარე მზე დიდ ძალას, დიდ ენერგიასა და ტემპერამენტს წარმოქმნის ჩვენში, მაგრამ ვერც ერთს გონივრულად ვერ ვიყენებთ.

ხშირად ვჩქარობთ და ამ სიჩქარით ხშირად უხერხულ და სავალალო მდგომარეობ[illegible]�დებით. ჩვენ თავისუფლებისა[illegible] არ ვიფავთ მზად და თავისუფლებას წავპოტინეთ. ჩვენ ომისათვის არ ვიფავთ მზად და ომი წამოვიწყეთ. თუმცა ეს არ იყო ჩვენი ომი. ეს ომი გარედან თავს მოხვეული ომი გახლდათ და მიტომაც წავაგეთ. თავისუფლებაც დავკარგეთ. ახლა ვავიძახით, დემოკრატიას ვაშენებთო. არ არის ასე. ასე უცბად, ასე იოლად დემოკრატია არ იბადება და არ იხრდება სუბტროპიკული მცენარესავით. დემოკრატიას მეარი, მტკიცე საფუძველი უნდა.

მე, ლტოლვილი პოეტი-მინისტრი ხშირად მთელი ღამე გავცქერი ჩემი ჩაწკარამებული სასტუმრის ჩაწკარამებული სარკმლიდან გაჩხაჩხებულ ჯიხურებს, სადაც აგზნებული ადამიანები ბახუს ეტანებიან, ღრეობენ, ლობენ, ყვირიან, ჩხუბობენ და ბოლოს ყველაფერი იმით მთავრდება, რომ გაისმის გასროლის ხმა, ქალთა შეკივლება, მამაკაცთა ბღავილი და კვნესა. იღვრება სისხლი.

ჩვენ ასე, პარი-პარალელ იმდენი სისხლი და ცრემლი დავღვარეთ, რომ აფხაზეთის ომში არ დაღვრილა ამდენი. ადამიანში კი ყველაზე წმინდა და ყველაზე ძვირფასი ცრემლი და სისხლია და მათ ასე ხელაღებით, მიზეზთა და მიზეზთა გარეშე რიცა ღვრიან, ეს უბედურებაა, ეს არის დეგრადაცია. ცრემლსა და სისხლს კი მხოლოდ მაშინ იმეტებენ, რიცა რაღაც ძვირფასს ართმევენ ან ასევე რაღაც ძვირფასს კარგავენ...

ხალხს სინათლე არა აქვს, ცივა, შიშშილობს, მეტრო არ მუშაობს. აღმფოთებულმა ადამიანებმა პროტესტის ნიშნად ქუჩა გაღაკეტეს. ვიგინდარა მძღოლმა კი, რომელმაც მანქანა აფხაზეთის ომიდან მოიხელთა, და, რომელიც ან ბენზინით, ან ნავთით, ან ლითონით და ან სინდისით ვაჭრობს, ქალი გაიტანა და გზა განაგრძო, მეჩქარებაო.

აი, დღევანდელი გაორებული ქართველის სახე. ცალი თვალი ტირის, ცალი — იცინის. ასე დემოკრატია არ შენდება, ასე ომიც არ მოიგება.

ვიდრე ჩვენ ერთი საფიქრალით, ერთი იცნებით, ერთი იდეალით, ერთი ტკივილითა და რწმენით არ ვიცხოვრებთ, ასე ვიცხოვრებთ.

ჩვენ სისხლი უნდა გაღავსხათ და არა მხოლოდ ჩვენი სისხლი, ჩვენი სულიც უნდა განახლდეს.

სხვა მომავალი მრავალი ახალი წელი წინ არის და ჩვენ აღმასვლისათვის უნდა მოკუმზადით. აღმასვლას კი დიდი ძალა, გამძლე მუხლი და ნათელი გონება სჭირდება. ამისათვის კი დიდი გარჯა, დიდი დრო, დიდი ერთგულება და ერთიანობაა საჭირო.

... და მაშინ კი, ახლო მომავალში სულ სხვაგვარად შევხვდებით ახალ წელს, არა ავტომატების კაკანით, ტკვიამფრქვევების თქრიალით, ქვემეხების გრიალითა და შეშფოთებული სახეებით, არამედ მაჭახელების ტკაცალით, მაშხალების ჩახჩახითა და გაღიმებული სახეებითა და გაბრწყინებული თვალებით...

დიახაც, ვიცი და კარგად ვიცი,
რა არის ღღეს და რა მელის ხვალე,
რომ არის სიტყვა,
რომ არის ფიცი,
რომ არის რწმენა, თუ არის რამე.
მეც რწმენისათვის, როგორც ყანა,
ბევრჯერ მომკეთეს ხელი მარჯვენა,
მაინც ვიხმარე მარცხენა ხელი
შენი სიცოცხლის გადასარჩენად.

...თუ არის რამე?!

ჯანო ჯანელიძე — აფხაზეთის განათლების მინისტრი

რას ფიქრობენ უბრალო რუსები ჩეჩნეთის ამბებზე?

მოსკოვში გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქციამ ჩაატარა გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რა აზრისანი არიან რიგითი რუსი მოქალაქეები ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებზე.

ე. ანდრეევა, 40 წლის, მუშა:

— ძალიან ბევრ სისხლი მეყინებოდა, როცა პროგრამა „იტოგში“ ჩეჩნეთში დატყვევებულ ახალგაზრდებს ვუყურებდი. მოსკოველი გენერლების შვილები კი, როგორც ამბობენ, „ეერსედესებით“ დასეირნობენ. ტყვეებს, რომელთა უმეტესობა თვრამეტი წლისაა, ტუჩებზე ჯერ კიდევ არ შეშრობიათ რძე. არ ეყოთ ჩვენს უფროსებს ავლენთი. ჩემს შვილს ორი წლის შემდეგ არმიაში გაიწვევენ. ერთხელ, კვირადღეს, ტელევიზორთან მჯდარმა ასეთი რამ გავიფიქრე: ხომ არ დავანებოთ თავი ყველაფერს და დავტოვოთ ეს ქვეყანა?

ევგენი, 35 წლის, ბიზნესმენი:

— რა მოხდა მერე? წარმოიდგინეთ ასეთი აურზაური ამერიკის რომელიმე შტატში რომ დაწყებულიყო, წამში ხომ გადაკეტავდნენ ყველაფერს. ჩვენთან კი სამი წელია რუსეთის რესპუბლიკაში, ჩეჩნეთში განუკითხაობა სუფევს და ხელისუფალნი ეხლაღა მოვიდნენ აზრზე. დიდი ხანია, დასანგრევი იყო ეს კრასნას ბუდე.

ა. ლეტოვი, ინჟინერი 50 წლის

— როგორც ამბობენ, ვისთვის ომია და ვისთვისაც კიდევ მშობლიური დედა. გენერალიტეტს მოუნდა იარაღის გაყიდვა. გვაჩვენებს, რომ არმია ჯერ კიდევ არ დაშლილა და ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არის. თანაც, საზოგადოების ყურადღება გერმანიიდან დაბრუნებული ოფიცრების მიერ თავიანთი ოჯახებისთვის მაწების მოწყობიდან სულ სხვა, უფრო საგანგაშო რამეზე გადაატანეს.

უსმანი, 40 წლის, გამყიდველი ბაზარში:

— მუსულმანები ერთმანეთს არასდროს ლატვებენ, ჩემი ძმის ნათესავები, ყური მოგვარი, უკვე ამბობენ ჩეჩნეთში წასვლას. აზერბაიჯანელები არასდროს აპატიებენ საბჭოთა არმიას 1990 წლის ბაქოს ამბებს. მე თვითონ საომრად, რა თქმა უნდა, არ წავალ. მე საქმეები მაქვს.

არტილერიის მაიორი, შესახედაობით 40 წლისა, წარდგინებაზე უარი განაცხადა:

— გრაჩოვი ნამდვილი სატანაა. ჩეჩნეთში ჯარების შეყვანამდე რამდენიმე დღით ადრე ესაუბრებოდა ფუდაევს, იღიმებოდა... ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, და უცბ, ეს სუპერსტრატეგიული მანევრი თავდაცვის მინისტრისა. არაშორსმჭვრეტელურია და არასწორი ეს ყველაფერი.

მ. ზახვატოვი, 31 წლის, გამნათებელი თეატრში:

— თავის ღროზე გორბაჩოვმა „არ იცოდა“, რა ხდებოდა ვილნიუსში, ბაქოში, თბილისში. ეხლაც, როგორც კი კონფლიქტია ქვეყანაში, ელცინიც მაშინვე ავად ხდება. როგორც იტყვიან კატა სახურავზეა, თაგვები ცეკავენ. ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ მოქმედებს რაღაც „ომის პარტია“. ცალი თვალით მაინც შეგვახედა ალბათ, რა პარტიაა ამისთანა.

ალექსანდრე სარგინი
„არგუმენტი ი ფაქტი“

ისმინე ჩვენი ხმა, დედა საქართველოვ!

რედაქციამ მიიღო თურქეთში მცხოვრები ქართველების წერილი, რომლის წაკითხვა მღელვარების გარეშე შეუძლებელია. გთავაზობთ სამშობლოს ბედით შეწუხებული ძმების ამ მშვენიერ ეპისტოლეს.

ჩვენ, თურქეთის ქართველობამ და საერთოდ აქაურმა ყველა კავკასიელმა, ძალიან კარგად ვიცით, რომ სრულიად კავკასიაში არის საქართველო- ქართველი ხალხი თავისი თვითმყოფადი კულტურით,ტრადიციული სახელმწიფოებრიობითა და თავისი გამორჩეული კაცთმოყვარული ხასიათითა და ადათ-წესებით. ამიტომ იგი ღმერთმა ადრიდანვე დედამიწაზე იმ 12 გამორჩეულ კულტურულ ხალხებს შორის მოაქცია, რომელნიც ლირსეულ და დააჯილდოვა თავისი დამწერლობით. მართალია, ქართული დამწერლობა (ანბანი) ძალიან კარგად პასუხობს ყველა მკვიდრი კავკასიელი ტომის (დაღისტნურ-ჩეჩნური ტომებიდან დაწყებული, დამთავრებული ჩერქეზულ-ადიღურ-ყაბარდო,აფსუა-აბაზ ინური ტომებით) ენობრივ თავისებებს. იგი გარეშე ძალებისა და რელიგიების (ირანი, არაბეთის სახალიფო, ოსმალეთი და რუსეთი) მტრული მოქმედების შედეგად ვერ გადაიქცა სრულიად კავკასიელთა დამწერლობად და უფრო მეტიც, ქართველთა ეს მონათესავე ტომები, აღნიშნული გარეშე მტრული ძალებისა და რელიგიების ქართველთა საწინააღმდეგო მოქმედების შედეგად, სამწუხაროდ, მუდმივოქმედ მტრებად ექცნენ ქართველებს.

ჩვენში თურქული გაზეთები: „საბაჰი“, „ზამანი“, „თურქიე“, „მილიეთი“ და სხვ., საქართველოსა და ე.წ. „აფხაზთა“ ანუ, როგორც თვითონ ამბობენ, აფსუათა გარედან ხელოვნურად შექმნილ პრობლემას მეტად შერყვნილად, დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ: ქართველებს დამპყრობლებად სახავენ, ხოლო ქართველების მიერ ვითომ დამონებულ აფსუებს სამშობლოს დამცველებად გვაცნობენ. მადლობა ღმერთს, რომ ბოლო 4-5 წელია გზები გაიხსნა, ქვეყნები, ხალხები დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ნამდვილი, ჯანსაღი ინფორმაციებიც ჩვენამდე აღწევს. ამასთან ერთად, ასე თუ ისე, საქართველოს ისტორიაც ვიცით...

1. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიული საქართველო შედგება შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქებისაგან, ესენია: ქართლი, კახეთი, ჰერეთი, მესხეთი, ჯავახეთი, ფშავ-ხევსურეთი, იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, აჭარა და სხვ.

2. ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც ჩრ. კავკასიაში, მდინარეების: თერგისა და ყუბანის მხარეებში შემოიჭრნენ რუსები, აზოვ-კასპიის ზღვებს შორის განალაგეს სამხედრო-საკორდონო ხაზი (ციხე-სიმაგრეებით. საარსებო სივრცეებდაკარგული დაღისტნელები, ჩეჩენ-ინგუშები, ოსები და ჩერქეზ-ადიღ-ყაბარდოელი ტომების ერთი ნაწილი გამოსავალს ნახულობს კავკასიის მთ. ქედის სამხრეთ კალთებზე ანუ ქართულ მიწაზე გადმოსვლა-დამკვიდრებაში. ასე გაჩნდა (მე-18—19 სს) ქართულ მთიანეთში (მხიანეთში) კავკასიელ მთიელთა თემები: აფსუა-აბაზინების — აფხაზეთში, ოსების ქართლში — სამაჩაბლოში, ჩეჩენ-ქისტების კახეთში, ხოლო ავარ-წახურ-დიდოელების თემები ჰერეთში ანუ დღევანდელ საინგილოში, რომელიც ქართველ და რუს ბოლშევიკ ლიდერთა ბრალით, ეს ქართული მიწა-წყალი 1921 წლიდან მათივე ხელით ქართულ, სომხურ და დაღისტნური ტერიტორიების ხარჯზე დაარსებულ „კომუნისტურ“ აზერბაიჯანს გადაეცა!



ჩვენ, თურქეთის ქართველები ა.წ. აგვისტოში ვიყავით საქართველოში და შემოვიარეთ აგრეთვე საინგილოს ზოგიერთი როგორც ქართული (ალიაბადი, მოსული, კანდახი, იენგიანი), ისე ლეკური სოფლები (თალა და ჭარი). როგორც გამოირკვა, 1921 წ. საინგილოში ინგილოები ანუ ქართველები და აღნიშნული ლეკური თემების მოსახლეობა ერთად შეადგენდნენ თურმე 90%. კომუნისტურმა აზერბაიჯანმა, კომუნისტურ საქართველოსაგან განსხვავებით, თავის რესპუბლიკაში მოხვედრილ ქართველებს, ლეკებს, ლეზგებს, თათებს, თალიშებსა და ქურთებს, არავითარი ავტონომია, არც პოლიტიკური და არც კულტურული, არ მისცა, ყველა ეს ხალხები ძალდატანებით ეროვნებით „აზერბაიჯანელად“ გამოაცხადა და დღემდე დევნასა და შიშში აცხოვრა. მაგრამ, საქართველოში სრულიად საწინააღმდეგო საქმიანობას ვხედავთ ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობაში. ქართველი ხელისუფალნი იმ დღიდან მოყოლებული ბოლო წლებამდე აფსუებს, ოსებსა და სხვებსაც ანებივრებდნენ, ეფერებოდნენ, ყველაფერში უთმობდნენ, ქართველებს ართმევდნენ და მათ კვებავდნენ და ასე მომავალ ურჩხულებსა და ჯალათებს ზრდიდნენ. თურმე იმ 80 თუ 90 ათას „აფხაზად“ წოდებულ აფსუებში 30 ათასამდე ქართველია, რომლებიც მსუქანი ლუკმისათვის აფხაზად ჩაეწერნენ. ეს პროცესი, თურმე, 20-იან წლებშივე დაწყებულა და შემდეგ 50—80-იან წლებში ფართო ხასიათი მიუღია. ამავე წლებში თურმე, ასევე ინტენსიური ხასიათი მიუღია აფხაზეთის მთის ხეობებიდან ბარისაკენ, უფრო კი ზღვისპირა ქალაქებისაკენ „აფსუა მთიელის ბარისაკენ მოწოლას“, უფრო სწორად, აფსუებისაგან ხელოვნურად, დაჩქარებით საქალაქო მოსახლეობის შექმნას. მოკლედ რომ ვთქვათ, აფხაზეთში მცხოვრებ ერთ მუჭა — 12% აფსუას, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა და ბედნიერება დაფუძნებული ჰქონდა უმრავლესობის ანუ ძირითადად ქართველთა ნამუსიან შრომაზე. მსგავს რამეს იქვე კავკასიის მთ. ქედის გადაღმა მყოფ მთიელთა ავტონომიებში თურმე ვერ ნახავ, იქ ყველაფერი არა ეროვნული, არამედ რუსული ენისა და კულტურის სამსახურშია ჩაყენებული. 1886-1986 წლებში ანუ ერთ საუკუნეში, აფხაზეთში რუსულმა და სომხურმა მოსახლეობამ ცალ-კალცე თუ 71-ჯერ იმატა, თავის სამშობლოში — აფხაზეთში ქართველ მოსახლეობას 4-ჯერაც არ უმატია.

სეპარატისტი აფსუების 40 წლიანი აშკარა ანტიქართული მოქმედების შედეგად, აფხაზეთში ე.ი. საქართველოში ქართული ენა და მისი დამწერლობა გამოიდევნა, სამაგიეროდ ფართო გზა მიეცა რუსულ ენას, თურმე დღეს აფსუა ოჯახების 80%-ზე მეტმა კარგად იცის რუსული ენა ე.ი. ოჯახის ენაა იგი, ხოლო ქართული ენა კი 2%-მაც კი არ იცის!

შემდეგ, კიდევ უფრო აღშფოთებულნი ვართ იმით, რომ ქართველმა დიპლომატებმა, ხელი მოაწერეს აფსუა კაცთმოძულეებთან „შეთანხმებას“, რაც საქართველოსთვის არის წამგებიანი, სრულიად სახიანო. რა დიდი ნიჭი და დიპლომატობა უნდა იმას,რომ როდესაც აფსუა მკვლელი და მოღალატე გეუბნება: „იარაღით ხელში მებრძოლი ქართველი ვერ დაბრუნდება აფხაზეთში საცხოვრებლადო“, ქართველმა „დიპლომატმა“ შემხვედრი და სამართლიანი პრეტენზია უნდა წარუყენოს მათ: „ის მკვლელი და მძარცველი აფსუა, რომელმაც რუსეთიდან დაქირავებულ მკვლელებთან ერთად უამრავი მხეცობა ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე, საქართველოში — აფხაზეთში ვერ იცხოვრებს-თქო“, ანდა „კოდორის ხეობიდან გაიყვანეთ ჯარიო“ გეუბნებათ ყაჩაღი და მოღალატე აფსუა. ქართველო „დიპლომატო“! შენც რატომ არ ეუბნები ხმამაღლა: „როდესაც აფხაზეთიდან ჩემი მონაწილეობით გაირეკება რუსი, ჩერქეზ-ადიღი, ჩეჩენი და სხვა მკვლელ-მძარცველთა ხროვა და ზედ მივაყოლებთ ომში მონაწილე აფსუა მკვლელებსაც, მაშინ მშვიდობიან ზონად ვაქცევთ კოდორის ხეობასთქო“... ვალლაჰი, ბილლაჰი, თალლაჰი ეს ღალატის ტოლია, კმარა! შეჩერდით! კიდევ როდემდისლა უნდა დაატარაოთ საქართველო!!!

თურქეთის რესპუბლიკის ქართველთა სახელით:

ასლან ჰურშიდ ოღლუ ბასილაძე, მუსტაფა ნუროღლუ გაბაიძე, იუსუფ ქაია ფუტკარაძე, ყასიმ შამიოღლუ კენჩხოშვილი, ოსმან ქამალ ვარანი ნაცვლიშვილი

თურქეთი,
იზმირი-ბურსა
1994 წ. აგვისტო

P.S. ვითარცა თავის დროზე ოტო სკორცენის ჯგუფმა მუსოლინი მოიტაცა, ჩვენც ყოველდღიურად დარწმუნებულნი ვიყავით,რომ არძინბები და შანიბოვები, როგორც კავკასიელ ხალხთა მოღალატეები, ქართველი ვაჟკაცების მიერ მოტაცებულ იქნებოდნენ და თბილისში საჯაროდ გასამართლებულნი, მაგრამ აქაც შევცდით.

ნაწილი პირველი (პოლემიკური):

ვის ეშინია ეროვნულ-დემოკრატების?

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე წერილი არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტულ პუბლიკაციაზე გამოხმაურებით და ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებული, ერთი მანკიერი ტენდენციის წარმოჩენის მცდელობა უფროა, სწორედ ბოლო დროს მომხდარი ტრაგიკული აქტითა და მის შესახებ დაბეჭდილი კომენტარით უნდა დავიწყო. საქმე ეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გიორგი ჭანტურიას მკვლელობასა და ირაკლი უკლებას სტატიას „შემდგომი ეტაპი ჭანტურიას გარეშე“ (გაზ. „შვიდი დღე“ №:41); რომელშიაც ბუნებრივად გაჩენილ კითხვებზე „ვინ“ და „რატომ“ საკმაოდ ორიგინალური პასუხებია გაცემული:

რატომ: მწიფდებოდა „ისტორიული კომპრომისი“. პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო „საქართველოს საბოლოო ინკორპორაცია რუსეთის გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური უსაფრთხოების სისტემაში“, რის სანაცვლოდაც საქართველო იღებდა „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების ურყევ გარანტიას“. ჩერნომირდინის ვიზიტის დროს რუსეთის ჯარებს დაუტკიცდებოდათ საშხედრო ბაზები, სამაგიეროდ 1995 წელს გალის რაიონში „უსაფრთხოდ დაბრუნდებოდა უკლებლივ ყველა ლტოლვილი“ და ედუარდ შევარდნაძეც მომავალ არჩევნებში საბოლოოდ განიმტკიცებდა პოზიციებს. გიორგი ჭანტურია, როგორც ჩანს, თანახმა იყო ამგვარ კომპრომისზე და როცა პარლამენტში ბაზების საკითხის განხილვისას სხვა პოლიტიკური ლიდერები „ყალყზე შედგებოდნენ“, ეროვნულ-დემოკრატების მხარდაჭერა სახელმწიფოს მეთაურისადმი „არათუ ბევრს, ყველაფერს გადაწყვეტდა“. ამიტომ მას დასჭრეს და მოკლეს „ჯიდრე შესძლებდა თავისი პოზიციის დაფიქსირებას“. ახლა კი შევარდნაძეს ძალზე გაუჭირდება რუსეთთან კომპრომისზე წასვლა, რადგან „გამოეცალა მძლავრი დასაყრდენი“. დასკვნა: მკვლელობის მთავარი მიზანი შევარდნაძის პოზიციის დასუსტებაა.

ვინ. მკვლელი ქართული პოლიტიკური ელიტის წევრია, რომელიც ჯერჯერობით ჩრდილში დგომას ამჯობინებს. „მისთვის სულერთია საქართველო რუსეთის შემადგენლობაში იქნება თუ არა“, მას მხოლოდ ძალაუფლება აინტერესებს და ამიტომაც უთხრის ძირს შევარდნაძეს. „ეს არის ადამიანი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მაღალ ინტელექტს მორალურ პათოლოგიასთან. ეს არის „გენიალური დამნაშავის“ ტიპი... დაახლოებით ისეთი, როგორიც კონან-დოილმა აღწერა პროფესორ მორიარტის სახით“!

ასეთია ირაკლი უკლებას ვერსიის მოკლე შინაარსი. მისი ალეგორიულობა, როგორც იტყვიან, თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა. ჯერ ერთი, თუ მართლა რეალურად არსებობდა ბაზების სანაცვლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია, თუნდაც აფხაზეთზე კონდომინიუმის (ერთობლივი კონტროლი) სახით, არა მარტო გიორგი ჭანტურია, არამედ ეროვნული მოძრაობიდან მოსული სხვა პოლიტიკური ძალებიც (მაგ. ტრადიციონალისტთა კავშირი) აქტიურად დაუჭერდა მხარს სახელმწიფოს მეთაურს. თუმცა ამ შემთხვევაში შევარდნაძეს მაინცდამაინც არ დაჭირდებოდა მათი თანადგომა: როგორც კი ლტოლვილების პრობლემა მკვდარი წერტილიდან დაიძრებოდა, შ[illegible]ევარდნაძის ავტორიტეტიც ერთი-ორად ამაღლდებოდა ქართული საზოგადოების თვალში, ოპოზიციის შემტევი ჟინი კი საგრძნობლად ჩაცხრებოდა — მათი ერთ-ერთი მთავარი „კოზირი“ ხომ სწორედ ისაა, რომ რუსეთთან კომპრომისებით ლტოლვილების დაბრუნება არ მოხერხდება! ერთი სიტყვით, ეს იქნებოდა შევარდნაძის პოლიტიკის ჭეშმარიტი ტრიუმფი.

პროფესორ მორიარტის კვალდაკვალ

ანტიდეტექტური განაზრებანი ოთხ ნაწილად პროლოგისა და ეპილოგის გარეშე

ნაწილი მეორე (რეტროსპექტული):

მასონები. «კაგებეშნიკები» და ქართველები.

„დამნაშავეთა სამყაროს ნაპოლეონის“, პროფესორ მორიარტის აჩრდილი უკლებასეულ ვერსიაში შემთხვევით არ გაელვებულა. ეს ტიპაჟი ზუსტად შეესატყვისება ჩვენი საზოგადოების სტერეოტიპულ წარმოდგენას — თითქოს არსებობს უდიდესი ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც შეგნებულად დგანან ჩრდილში და უწყვეტად წარმართავენ ცხოვრებისეულ პროცესებს.

ამგვარი სქემა დეტექტური ლიტერატურისთვის უფროა დამახასიათებელი. კონან-დოილის მიერ შექმნილი ბორიტი გენია უმეტესწილად არ გადაგებულა: დაიწერა უამრავი ნიჭიერი თუ უნიჭო თხზულება, სადაც მოქმედებენ ზემძლავრი კრიმინალური ორგანიზაციები, ფაქტიურად რომ ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებიან. ორგანიზაციის სათავეში კი დგას გარეგნულად რესპექტაბელური ფანატიკოსი, ჭკვიანი და დაუნდობელი პიროვნება. ყველა ასეთი პერსონაჟი, პირდაპირ მორიარტის თარგზეა გამოჭრილი, მაგრამ ერთია დეტექტური თუ სათავგადასავლო ლიტერატურა და მეორე — რეალური ცხოვრება...

როგორც ცნობილია, დეტექტივში ის, ვის წინააღმდეგაც თითქოს ყველა საშხილია მიმართული, სინამდვილეში უდანაშაულოა, ხოლო ჭეშარიტი დამნაშავე ისაა, ვინც თავიდან ამ როლს ნაკლებად შეეფერება. წინა პლანზე წამოწეული სურათი ილუზორულია, მოვლენათა არსი კი საგულდაგულოდაა შენიღბული და დაშიფრული. ანალოგიური სქემით ოპერირება ძალზე ხშირია ქართულ სინამდვილეში. სანიმუშოდ მარტო ე.წ. „ზვიადისტური“ პრესის ოპუსებიც იკმარებდა, სადაც ყველაფერი ცუდი, რაც ჩვენთან ხდება, წარმოდგენილია როგორც „შევარდნაძის ხუნტის“ შეგნებული მოქმედების ნაყოფი. ხუნტისა, რომელიც მთლიანად კრემლში მოკალათებული ინსტრუქტორების მითითებებით ხელმძღვანელობს. თვით ედუარდ შევარდნაძეც „ზვიადისტებისთვის“ მხოლოდ მარიონეტია, ფსიქოტრონული ზომბი, მოსკოველი მორიარტები რომ თავის ნებაზე ათამაშებენ.

სიმპტომატურია, რომ სწორედ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ქართული პრესა გაივსო მამხილებელი წერილებით მასონებისა და მასონური მოძრაობის შესახებ. რუსული შავრაზმელობის საუკეთესო ტრადიციებზე შექმნილი ეს პუბლიკაციები მასონებს სახავდნენ მსოფლიოს იდუმალ ხელისუფლებად, რომლებმაც უკვე გარყვნეს მთელი დასავლეთი და ახლა საქართველოს დაქცევა-განადგურება აქვთ განზრახული. ამ განხრით ნაყოფიერად მოღვაწეობდა გიორგი მარჯანიშვილი, თუმცა მას არც სხვები ჩამორჩებოდნენ. .. საერთოდ „მრგვალმაგიდელებისთვის“ დამახასიათებელი იყო ოკულტურ-მისტიკური თემატიკით სპეკულირება, რასაც თვით პრეზიდენტის ოკულტიზმით გატაცებაც უწყობდა ხელს. ნებისმიერი ოკულტური მოძღვრებით (ბლავატსკაისი იქნება იგი, შტაინერისა თუ გურჯიევის) არსებობენ ხელდასხმულთა გასაიდუმლოებული საზოგადოებები, რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ კაცობრიობის ისტორიას. ამ მიმართულებით [illegible] ლტოზმიდან დეტექტივამდე [illegible] ნაბიჯია, მაგრამ როცა ამ ოკულტურ-დეტექტური პარადიგმებით რეალური პროცესების ახსნას ცდილობენ და თან ღრმა ანალიზის პრეტენზიაც აქვთ — ამას არც ოკულტიზმთან არაფერი აქვს საერთო და არც დეტექტივთან. ეს უბრალოდ სასაცილო იქნებოდა, მართლა სატირალი რომ არ იყოს.

აქ ის მკითხველი, ვისაც გამსახურდიას ხსენებაზე მწვავე ალერგია ჭირს, შესაძლოა შეგვეკამათოს: ეგენი („ზვიადისტები“) ნახევრად გიჟები არიან, თავიანთი პრეზიდენტის გარდა ამქვეყნად არაფერი ახსოვთ და რა მნიშვნელობა აქვს სად რას ამბობენ ან როდის რა დაუჯლაბნიათო, მაგრამ მარტო „ზვიადისტები“ როდი აზროვნებენ ასე. ვთქვათ, ელდარ შენგელაია გამსახურდიასადმი სიმპატიაში როგორც იტყვიან, არასოდეს ყოფილა შემჩნეული და სწორედ მან, პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ამერიკის დაზვერვის ყოფილი შეფის, ალენ დალესის ისეთი გამონათქვამი მოიყვანა, აშშ-ს ოფიციალურ წარმომადგენელს რომ მოესმინა, გამორიცხული არ არის საერთაშორისო სკანდალამდე მისულიყო საქმე. კერძოდ, ალენ დალესს თურმე ხმამაღლა განუცხადებია: საბჭოთა კავშირი რომ დავამარცხოთ, ჯერ იქ მცხოვრები ერები უნდა გავრყვნათ და გავათახსირითო! ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არ არის, თუ სად ამოიკითხა ბ-ნმა ელდარმა ასეთი სენსაციური პასაჟი, არც ის, რომ ეჭვიც არ შეპარვია მართლა იტყოდა თუ არა ასეთ რამეს პროფესიონალი მზვერავი და დიპლომატი, არამედ ის, რომ გულწრფელად ირწმუნა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების უმძლავრესი სპეცსამსახურები საგანგებოდ მუშაობდნენ ქართველი ერის გასახრწნელად. სხვათა შორის, ალენ დალესი მასონიც იყო, ეს ისტორიული ფაქტია...

არდა ავიღოთ გაზეთ „იერია-ექსპრესში“ დაბეჭდილი წერილების მთელი სერია, რომელთა ავტორიც ხან გიორგი დავითურის, ხან ლევან ჯიშკარიანის და ხან დავით ავალიშვილის ფსევდონიმით სარგებლობს. ირაკლი უკლებასი არ იყოს, ესეც ნიჭიერი ჟურნალისტია და კარგადაც აანალიზებს მიმდინარე მოვლენებს, ოღონდ როგორც კი სიღრმისეულ წაღსვლებს იწყებს, მაშინვე დეტექტურ რელსებზე გადადის და ჩვენს ყველა უბედურებას „იმპერიის იდუმალი ორდენის“, ანონიმური „ინტელექტუალური ცენტრის“ გეგმაზომიერი მოქმედებით ხსნის. ამ ორდენის წევრებს ყველაფერი ზუსტად აქვთ გათვლილი. მისასალმისხალ დაანგარიშებული და როგორც მოესურვებათ ისე წარმართავენ პოლიტიკურ პროცესებს: უნდათ დაშლიან საბჭოთა კავშირს, უნდათ ააწყობენ; უნდათ გორბაჩოვს გააგდებენ, უნდათ ელცინს დასვამენ. ელცინიც და გორბაჩოვიც ჟურნალისტის მიერ ისეთივე მარიონეტებადაა წარმოსახული, როგორც „ზვიადისტებისთვის“ შევარდნაძე (შემთხვევითი არ არის, რომ ერცელი სტატია „იმპერიის იდუმალი ორდენის“ შესახებ მოგვიანებით მთლიანად გადაბეჭდა „ნახევრად ზვიადისტურმა“ „მსგეფსმა“).

რასაკვირველია, ყველა განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ სპეცსამსახურები, რომლებიც ინფორმაციას აგროვებენ, აანალიზებენ და ხელისუფლებას შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენენ. რასაკვირველია არსებობენ. მასონებიც და მასონური ლოჟებიც, მათ შორის საიდუმლო ორგანიზაციებიც, აქტიურად რომ მონაწილეობენ პოლიტიკაში (გავიხსენოთ თუნდაც საიდუმლო მასონური ლოჟა პ-2-ის გახმაურებული საქმე). რასაკვირველია, არსებობენ ინტელექტუალი ბოროტმოქმედებიც, ეს ყველაფერი ცხოვრებისეული პროცესების ნაწილია და არა განმსაზღვრელი ფაქტორი. დაუშვებელია საიდუმლო ორგანიზაციათა როლისა და მნიშვნელობის გააბსოლუტურება და როცა მოვლენათა ანალიზი უკუღმართ სააზროვნო სტერეოტიპზეა დაფუძნებული, არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს კონკრეტული პიროვნების ნიჭიერებასა თუ ინტელექტის კოეფიციენტს. ამ მხრივ აბსოლუტურად ერთ სისტემაში თავსდება გიორგი მარჯანიშვილის მამხილებელი წერილები, დავითურ-ჯიშკარიან-აკალიშვილის ანალიტიკური

სტატიები და ელდარ შენგელაიას შეხედულებები ალენ დალესის სადაზვერვო სტრატეგიაზე. ამაე რიგში ჯდება ირაკლი უკლებას ვერსიაც. არც ის იქნება გასაკვირი, თუ მსგავსი აზროვნების გამოვლინებებს კიდევ ბევრჯერ წავაწყდებით, რადგან ჩვენ ძალიან ვგავართ შერლოკ ჰოლმსს, ოღონდ არა კონან-დოილის ნაწარმოებებიდან, არამედ ვინმე ნიკოლას მეიერის პაროდიული რომანიდან, სადაც პროფესორი მორიარტი ერთი უწყინარი მათემატიკოსია და ჰოლმსს ბოროტ გენიად მხოლოდ მაშინ ეჩვენება, როცა კოკაინითაა აღგზნებული და ბავშვობიდან გამოყოლილი კომპლექსები აწუხებს...

ნაწილი მესამე (მეტაფიზიკური):

«ოკამის სამართებელი» და «უქარქაშო ხმლები»

და მაინც, რატომ ხდება, რომ სრულიად განსხვავებული მრწამსისა და ინტელექტის მქონე ადამიანები აზროვნებენ ერთი და იგივე ოკულტურ-დეტექტური მოდელის მიხედვით? ამ კითხვაზე რომ ეუპასუხოთ ჯერ შუა საუკუნეების ინგლისში გადავინაცვლოთ და ერთი გამოჩენილი მოაზროვნის აჩრდილი გამოვიხმოთ.

ფილოსოფიაში, კერძოდ ლოგიკის მეცნიერებაში, არსებობს პრინციპი, რომელიც ეკუთვნის ინგლისელ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს უილიამ ოკამის (დაახლ. 1285-1349). ეს ლოგიკური პრინციპი ცნობილია „ოკამის სამართებლის“ სახელით და იგი დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: **არ უნდა ვამრავლოთ შინაარსები უცილობელი საჭიროების გარეშე.** სხვანაირად რომ ვთქვათ, თუკი მოვლენა მარტივად აიხსნება თავისივე შინაგანი კანონზომიერებით, არ არის საჭირო სხვა დამატებითი სიდიდეების შემოტანა. ვთქვათ, როცა ავადმყოფი— ჰიპერტონიკი ინფარქტით მოკვდება, არ უნდა ვეძებოთ ვიღაც ინსპირატორი, ვინც ამ **თა საჭიროებაც არ არსებობს.** საბჭოთა იმპერიის დაშლა და შემდგომში „რეინტეგრაციის“ სახით მისი აღდგენის მცდელობა თავისუფლად შეიძლება აიხსნას რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარების შინაგანი კანონზომიერებებით. აქედან გამომდინარე, არავითარი აუცილობლობა არ არის ვივარაუდოთ შორს გამიზნული სტრატეგიული გეგმის არსებობა, რადგან „პერესტროიკის“ დაწყება და საბჭოთა კავშირის დაშლა წინასწარი ჩანაფიქრის გარეშეც მოხდებოდა. ამიტომ ეს გეგმა უნდა „ჩამოიჭრას“, როგორც არაარსებითი ფაქტორი.

ოკამის პრინციპი რაციონალური აზროვნების, რაციონალისტური ცნობიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ცივილიზებულ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს არც კი სმენია ბრიტანელი ღვთისმეტყველის სახელი, მაგრამ ლამის ინსტიქტურად იყენებს მის „სამართებელს“. ამის საპირისპიროდ ტრადიციული (თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური) საზოგადოებისთვის დამახასიათებელია მითოსური ცნობიერება, როცა ყოველგვარი მოვლენა „გარედან“, ტრანსცენდენტურადაა ინსპირირებული. ყველაფერი დეტერმინირებულია, ყველაფერი წინასწარაა აწონილი, გაზომილი და შეფასებული „სხვის“ მიერ, რომელიც აუცილებლად ბევრად უფრო ძლიერია და გონიერი, ვიდრე „თვითონ“. მაგრამ თუკი ტრადიციული საზოგადოებისთვის მითოსური ცნობიერება ბუნებრივია და შეესატყვისება გარემოცველ რეალიებს, მეტნაკლებად ცივილიზებულ ყოფაში იგი უკვე განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცევა. ამ შრივ საქართველო **ერთგვარ გზის გასაყარზე დგას: ქართველი კაცი უკვე აღარ ეკუთვნის ტრადიციულ საზოგადოებას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ცივილიზებული. ოპტიმისტთა მტკიცებანი, რომ ჩვენ ევროპელი ერი ვართ, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. ეროვნული ცნობიერებით, და არა მარტო გეოგრაფიულად, საქართველო არც ევროპაა და არც აზია. ქართული ცნობიერება დღეს მარგინალურია, ანუ შუაშია გაჭედილი მითოსურ და რაციონალისტურ ცნობიერებას შორის.** სწორედ ესაა ჩვენი სისუსტისა და გაოცშულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ჩამოყალიბებული, მკაფიოდ სტრუქტურირებული საზოგადოება — ტრადიციული იქნება იგი თუ ცივილიზებული — უკვე თავისთავად ძალაა! ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების მარგინალურობა კი მნიშვნელოვნად განაპირობებს მთელი ერის დაქაქსულობასა და შეუკავშირებლობას. თანამედროვე ქართველი თითქოს რაციონალურად აზროვნებს, მაგრამ მისი რაციონალიზმი მითოსური ცნობიერებიდან შემორჩენილი საზროვნო სტერეოტიპებითაა გაჯერებული. ყოველი ასეთი სტერეოტიპი ნამდვილი დაბრკოლების ლოდია და ოკულტურ-დეტექტური სქემებისადმი მიდრეკილებაც ერთ-ერთი ამ ლოდიაგანია.

გარკვეულწილად ეს მიდრეკილება ჩვენი ისტორიული მეხსიერებითაცაა გამაგრებული. საქართველოს მუდამ გარე აგრესიის მოგერიება უწევდა, ამიტომ ქართულ ცნობიერებაში მტკიცედაა ჩარჩენილი „ძლიერი მტრის“ ხატი. მისთვის უცხოა „ოკამის სამართებელი“ და გაცილებით მახლობელია სანიკიძისეული „უქარქაშო ხმლები“ — შესანიშნავი სიმბოლო ჩვენი აზროვნების მიმართულობისა და სანამ ამ უქარქაშო ხმლებით ბნელ ოთახში არარსებულ კატის დევნას არ მოვეშვებით, მანამდე პრიმიტიული დეტექტური სქემები კიდევ დიდხანს მოგვეჩვენება ინტელექტუალობის ატიბუტად და პროფესორ მორიარტის აჩრდილიც კვლავ ისეირნებს მრავალტანჯულ ქართულ მიწაზე...

ნაწილი მეოთხე (პროპაგანდისტული):

სიბრძნე სისულელისა

მარგინალურ საზოგადოებაში ყველაზე დიდი დეფიციტი — საღი აზრის დეფიციტია. რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი, რაოდენ უნიჭოც უნდა იყოს, როცა დაინახავს, რომ ვთქვათ ჩიტი ხეზე ზის, არასოდეს იკითხავს, თუ ვინ შესვა ჩიტი ხეზე, თუ, რა თქმა უნდა, ეს ჩიტი მწყერი არ არის. საერთოდ, ინსპირირებული ნებისმიერი მოვლენა შეიძლება იყოს. აქ იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოს ყველაფერი სპონტანურად ხდება და არავითარი წინასწარგანზრახულობას არა აქვს ადგილი. არამედ ლაპარაკია მოვლენის აღქმაზე, როცა ინსპირაციის მომენტი იმთავითვე იგულისხმება და თან გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. როცა მოვლენის შეფასება პრაქტიკულად უკვე მოცემულია მსჯელობის დაწყებამდე. ამ შემთხვევაში მთავარია არა ნიჭი და ინტელექტი, არამედ სწორედ საღი აზრი. მაგრამ თვით „საღი აზრის“ ცნებაც რაციონალისტური ცნობიერების ნაყოფია. მოვლენის აღქმა მისივე შინაგანი ლოგიკის მიხედვით მარგინალისთვის პრობლემაა, „უქარქაშო ხმლების“ ფსევდოპრინციპი კი ამ პრობლემის გადაჭრის ხერხი — ყოველთვის შეიძლება მოინახოს ვიღაც „სხვა“ ან „სხვები“, ვისაც დაბრალდება საერთოდ პრობლემის არსებობა. სხვა საკითხია, რომ ამგვარი „პრინციპი“ უკარგისია და საბოლოო ჯამში შესაძლოა მტკნარი სისულელეც დაგვცდეს; მაგალითად, სერიოზულად დაიწყო იმის მტკიცება, რომ იმპერიის ინტელექტუალურმა ცენტრმა მთავარი დარტყმა მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიულ-ნომენკლატურული სტრუქტურების წინააღმდეგ მიმართა, რადგან მხოლოდ ეს სტრუქტურები შეიცავდნენ სახელმწიფოებრიობის ელემენტებს (თითქოს დღეს საქართველოში სხვა მმართველობითი სტრუქტურები მოქმედებდეს და თითქოს იგივე ნომენკლატურა არ იჯდეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე!).

ანდა რამდენჯერ გვსმენია ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული, ანუ, როგორც რუსეთის ფედერაციაში ჩვენი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვალერიან ადვაძემ განაცხადა: „საქართველო რუსეთს ერგო“! საინტერესოა, რომ ამ თეორიას თუმცა ბევრი ოპონენტი ჰყავს, რატომღაც არავინ ამბობს იმას, რომ ეს უბრალოდ სისულელეა — ‘ხელახელმწიფოთა მიერ გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა აუქციონი კი არ არის, არამედ მუდმივი, დინამიური პროცესი, რომელიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს და პერმანენტული ცვალებადობა ახასიათებს: კაცმა რომ თქვას, ამის ცოდნისთვის სულაც არაა საჭირო პროფესიონალი პოლიტიკოსობა. ბოლოს და ბოლოს ისტორიის გაკვეთილებით ხომ მაინც უნდა ვისწავლოთ: არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრძნული იერიო ამტკიცებდნენ, ბუშმა და გორბაჩოვმა მალტაზე მოილაპარაკეს და მსოფლიო გაიყვესო. ბუშს უთქვია: მოდი, ნუ დავშლით საბჭოთა კავშირს, აღმოსავლეთ ევროპა ხომ მოვიცი, ახლა ბარემ ბალტიისპირეთიც მოაყოლე და სხვაგან რაც გინდა ქენიო. ამაზე გორბაჩოვიც დათანხმებულა და აწი რამდენიც უნდა ვიხტუნაოთ, ამ იმპერიას მაინც ვერსად გავექცევითო! სწორედ ამის მერე იყო, საბჭოთა კავშირი კომბოსტოს თავივით რომ დაფიცქერა, მაგრამ ის აზრი, რომ სადღაც ვიღაც „დიდი ძიები“ სხედან და თავის ჭკუაზე ატრიალებენ მსოფლიოს., ჩვენს ცნობიერებაში ლამის დოგმატის დონეზეა: თუ ფაქტი არ ადასტურებს თეორიას — მით უარესი ფაქტებისათვის! ზემორე გეოპოლიტიკური ანალიზი, თავისი აზროვნების სტილით არანაირად არ განსხვავდება ერთი რიგით „ზვიადისტის“ კომენტარისგან, რომელიც ჩემი ყურით მომისმენია: **ბუში მოხსნეს და ქლინთონი დანიშნესო!..**

ამგვარ აზროვნებას საბოლოო ჯამში ეროვნულ ნიჰილიზმთან მივყავართ და როცა კარგი მსახიობი, რამაზ ჩხიკვაძე, სატელევიზიო ინტერვიუში რიხიანად აცხადებს, რომ „რუსს რასაც უნდა იმას გიზამს“, როცა გვეუბნებიან, რომ იმდენი დამოუკიდებლობით უნდა დავკმაყოფილდეთ, რამდენსაც რუსეთი გვიწყალობებს, ისღა დაგვრჩენია „კარგი ვსვათ და კარგი ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგვრჩება“-ს პრინციპით ვიცხოვროთ, რადგან ამ ლოგიკით ყველაზე ბრძენი პოლიტიკოსი ის იქნება, ვინც მხარ-თეძოზე წამოწოლილი დაუცდის, როდის მოუბრუნდება გული რუსეთს, ან როდის გადაუბრუნდება ტვინი დასავლეთს...

შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ასე არ არის, მაგრამ რატომ არ არის ასე — ხეირიანად ვერასდროს ახსნის. ამ შემთხვევაში ყოველივის ზოგადი სენტენციებით იფარგლებიან, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სულ სხვადასხვანაირად გაიაზრება. მაგალითად, იტყვიან, რომ საჭიროა ანგარიში გაუწიოთ რეალობას, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა მსოფლიო პოლიტიკურ თამაშში თავი არ წავაგოთ, რომ ისე არაა საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და ა.შ. ეს წერილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ფაქტით დავიწყეთ და ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ მას არაერთხელ განუცხადებია: საქართველოს ბედნიერებისა თუ უბედურების სათავე მოსკოვსა და ვაშინგტონში კი არაა საძიებელი, არამედ აქ, ჩვენთან. რა თქმა უნდა, პოლიტიკაში არსებობს ზესახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესები, მაგრამ ეს მხოლოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია მოქმედებისთვის და არა რაღაც ფატალური გარდუვალობა.

ხოლო უმთავრესი ბარიერი, რაც ჩვენს მოქმედებას აბრკოლებს, ჩვენივე შერყვნილი აზროვნებაა. მართალია, მითოსური ცნობიერებიდან რაციონალისტურზე გადასვლა ისტორიული პროცესია, შეუძლებელია ყველამ ერთად მოვისროლოთ უქარქაშო ხმლები და ოკამის სამართებლით შეეიარაღდეთ. მაგრამ პიროვნების ემანსიპაციის, და, აქედან გამომდინარე, ცნობიერების რაციონალიზაციის პროცესი — შეუქცევადი პროცესიცაა. როცა ავღანელი თუ ჩეჩენი მეომრების თავგანწირული შემართების მოწმენი ვართ, ისე გვეჩვენება, თითქოს ავღანელები და ჩეჩნები „მაგრები“ იყვნენ, ჩვენ კი „არ ვარგივართ“. არადა ისინი იმიტომაც არიან „მაგრები“, რომ ჯერ კიდევ ტრადიციული საზოგადოების სულისკვეთებით ცხოვრობენ. მათი სიმტკიცე — ტრადიციული საზოგადოების სიმტკიცეა, ხოლო ინგლისის, ამერიკის, გერმანიისა თუ საფრანგეთის სიძლიერე — უკვე ცივილიზაციის სიძლიერეა. ის, რაც დღეს ჩვენთან ხდება, იმავე ჩეჩნებსა და ავღანელებს ჯერ კიდევ წინა აქვთ, ასე, რომ მაინცდამაინც ნუ შეგვშურდება მოჯახედების. უკან, შუა საუკუნეებში ვეღარასოდეს დავბრუნდებით და არც არის საჭირო. ტრადიციული საზოგადოების ძალა შეგვიძლია მტაცებელი ცხოველის თათს შევადაროთ: იგი ამტანია და გამძლე, მაგრამ უხეში და მოუქნელი; ცივილიზებული საზოგადოების ძალა კი ადამიანის ხელის მსგავსია — იგი გაცილებით მოქნილია და რაფინირებული, თითქოს ნაზია, მაგრამ მიზანმიმართული ვარჯიშის შემდეგ ქვას გაანგრევს!

და ბოლოს, დროა დავბრუნდეთ იქ, საიდანაც დავიწყეთ და ირაკლი უკლებას სტატიაზე კვლავ ორიოდე სიტყვა ვთქვათ; მისი ვერსიის ამოსავალი წერტილი — „ყოვლისშემძლე ინსპირატორის“ ირაციონალური ხატია და საკმარისია იგი ამ უკუღმართი სტერეოტიპისგან განთავისუფლდეს, რომ მაშინვე ცხადლივ დაინახავს: ქართულ პოლიტიკურ ელიტაში საგულდაგულოდ შენიღბული ბოროტი გენიის ძიება ისეთივე სისულელეა, როგორც იმპერიის ინტელექტუალური ცენტრის ბრძოლა მოკავშირე რესპუბლიკათა რაიკომების წინააღმდეგ, ანდა მავანთა რწმენა, თითქოს შევარდნაძე საგანგებოდ გამოაგზავნეს მოსკოვიდან საქართველოს დასაქცევად. აქ არის სიბრძნე: ხშირად სისულელეს ვამბობთ არა იმიტომ, რომ სულელები ვართ, არამედ იმიტომ, რომ გვიჭირს გავარჩიოთ რა არის სულელური და რა არა. მიზეზი — კრიტერიუმთა სრული აღრევა: მიზეზის მიზეზი — ყალგასული, კლიშირებული მოდელებით აზროვნება, როცა იმდენად მოვლენას არ ვაკვირდებით, რამდენადაც ვცდილობთ მოვლენის უკან შევიჭყიტოთ. გამოსავალი — ერთდროულად ძალიან ძნელი და ძალიან ადვილიც: ძნელი, რადგან აქ უამრავი ურთიერთგადახლართული ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ადვილი, რადგან თვით საკითხის დასმა რადიკალურად ცვლის ვითარებას. თუმცა ეს უფრო ფსიქოლოგიური პრობლემაა, ვიდრე ინტელექტუალური. განათლება, ცოდნა და პროფესიონალიზმი აქ არავერ შუაშია. ეარდის სახელი რომ წარმოთქვა, არაა აუცილებელი იყო ბოტანიკოსი..

დავით ზურაბიშვილი

თბილისური დიალოგები

თამარ მეფის გამზირზე

გამზირს ნაირ-ნაირ საბჭოთა და სხვა უცხოურ მანქანათა გიჟურ ქროლვაში უადგილო ადგილას მოარღვევს ძველი, გახუნებულტანსაცმლიანი, ინტელიგენტური გარეგნობის შუახანს გადაშორებული კაცი. ხელში ბადურა უჭირავს, შიგ ცოტ-ცოტაოდენი კარტოფილი, პამიდორი, ხახვი და მწვანილეულობა მოუჩანს. გულისფანცქალით შევყურებ: აი, ახლა ეს მანქანა გაიტანს და, აი, ახლა ეს! შიშისაგან შიგადაშიგ თვალებსაც ვხუჭავ. როგორც იქნა, გამოაღწია. აღშფოთებული მივვარდი და შევყვირე:

— რას აკეთებ, კაცო, სად გადმოდიხარ?

— ერთადერთი თავისუფლება, რაც მივიღეთ და ყველას შეგვიძლია გამოვიყენოთ, ეს არის, ქუჩაზე სადაც გინდა იქ გადახვალ და გადმოხვალ და ამითაც არ ვისარგებლო?!

— მერედა, სიცოცხლის ფასად?

— დიახ, სიცოცხლის ფასად!

მოდი და ახლა ასეთ ხალხს ელაპარაკე!

ტროლეიბუსში

ჩემს წინ მსხდომნი საუბრობენ:

— ბესო თქვენი ბინიდან წავიდა?

— კი, ახლა, ოქტომბერში. მუხიანის დასახლებაში გადაცვალა და გადავიდა.

— რატომ, ასე შორს როგორ წავიდა?

— რატომ და, მისი ქვედა მეზობელი სადღაც, საბაჟო დეპარტამენტსა თუ საგადასახადო ინსპექციაში მოეწყო და მისგან ისეთი ნაირ-ნაირი საჭმელების სუნი ამოსდიოდა, ცარიელ პურზე მყოფმა კაცმა ამას ვეღარ გაუძლო და გაეცალა. ხედავ, რა ძალა აქვს ოპტიმიზმსა და სიცოცხლის წყურვილს, როგორ უშველა თავს?!

— ხუმრობ, არა? ფულისთვის გააკეთა, ხომ?

— სულ უსახსროდ დარჩა, გასაყიდი აღარაფერი ებადა და მთავარი, ალბათ, მართლაც ეგ იყო, თუმცა რამდენიმე ახლო მეზობელს გაგვანდო, საჭმელების სუნის გამო მივდივარო. და ეს ისე სერიოზულად, დაბეჯითებით და დამარწმუნებლად გვითხრა, რომ, თუ გადამწყვეტი არა, გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ბიძგის მიმცემი უსათუოდ საჭმელების სუნი უნდა ყოფილიყო.

— კარგი, მაგრამ შენ როგორღა უძლებ?

მე მის ქვემოთ ვცხოვრობ და სუნი ჩემთან ნაკლებად ჩამოდის.

ჩემს უკან მსხდომთაგან მესმის:

— კაცო, რა მოუვიდა გიორგის, ამ საღსალამათ კაცს?

— სასწორმა მოკლა.

— როგორ თუ სასწორმა?

— სასწორმა და თავისმა პატიოსნებამ?!

— ვერაფერი გავიგე, რას ამბობ!

— რა და, მაგ საწყალს შინ ზუსტი სასწორი ჰქონდა, ვიღაცამ, მაგის ცოდვით სავსემ, გერმანიიდან ჩამოუტანა. პურის საყიდლად თვითონ დადიოდა და, რაც ბარათებზე გადავედით, ჩვეულებად ექცა, პურს წონიდა; ხედავდა, ცალკე პურის ქარხანა და ცალკე მაღაზია როგორ აკლებდა... მაგრამ რას იზამდა, შვილიშვილებს ლუკმას ხომ არ მოაკლებდა!...

— ოჰ, წავწყდით, შიმშილმა მოკლა?

— არა, შიმშილმა არა! ხომ იცი, გიორგი რა ხაოცრად მშრომელი კაცი იყო. კასპისა თუ ქარელის რაიონის რომელიღაც სოფელში მიწა აიღო, ქერი დათესა, არაუშავდა მოსავალი მიიღო, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ხორბალში გადაუცვალა. თვითონაც და ოჯახის წევრებიც უბრალოდ და უპრეტენზიოდ ცხოვრობდნენ და სიდუხჭირეს არ უჩიოდნენ. მხოლოდ ეგ იყო, ეს ძალადობა და უნამუსობა ვერ აიტანა და გული გაუსკდა.

— გადამრევ, კაცო, რა უცნაური ლაპარაკი იცი!... მაგაზე მილიონჯერ მეტ ძალადობასა და უნამუსობას ვერ ხედავდა, ვიდრე 100—200 გრამი პურია, და ის არ მოქმედებდა?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი მოქმედებდა, მაგრამ არა იმდენად, როგორც სასწორი. რამდენჯერ უთქვამს: ისე როგორ დავეცით და გავთახსირდით, კაცს დღეში 300 გრამ პურს ვაძლევთ, სხვას არაფერს და იმასაც ვაკლებთო. და ეს გრძელდებოდა პურის ყველა აღებაზე. ხომ იცი, წვეთი წყალი განუწყვეტლივ ერთ ადგილს რომ ეცემა, კლდეს ხვრეტს და, რა გასაკვირია, ამ განუკითხაობამ და უნამუსობამ, წვეთ-წვეთობით და გამუდმებით რომ ეღვრებოდა გულში, გული გაუგლიჯა.

ეჰ, პატიოსნებავ, პატიოსნებავ, დიდი უცნაური ვინმე ხარ შენ, — კაცს კიდევაც ააშენებ და კიდევაც დააქცევ!

დარის ბორჩია

რითი განსხვავდება დასავლეთის ადამიანი პოსტსაბჭოელისაგან?

ევროპაში ადამიანი შეიძლება მოხვდეს სადმე, პატარა სასტუმროში, შევიდეს კაფეში და თუ იქ არავინ დახვდა, აიღოს მისთვის სასურველი, თუნდაც ბოთლი ლუდი, ფული კი იქვე დაა-წყოს. არც ვიდეოკამერაა სადმე დამონტაჟებული და არც პოლიციელია დადარაჯებული. შეიძლება, ეს პატარა მაგალითია, მაგრამ ესაა პატარა მაგალითი ცივილიზებული ქვეყნისა, სწორედ ცივილიზებული და არა მდიდარი ქვეყნისა. რა თქმა უნდა, მატერიალური მხარე ხელს უწყობს ცივილიზებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და პირიქით, მაგრამ დამლუპველია ამ დროს თავის მართლება. ჩვენში ხომ გაჭირვების გამო მხოლოდ თავის მართლებას მიეჩვივნენ. თავს იმართლებენ იმის გამო, რომ ისინი ლუკმა პურს დაეძებენ, მაგრამ თავს იმართლებენ მაშინაც, როცა უკანასკნელ ლუკმას გლეჯენ სხვას. არადა, დღეს ამ როლში გამოდიან გლეხებიცა და „ყოფილი ინტელიგენტებიც“, ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიციელები. პოლიციელები კი მართლაც ცალკე აღნიშვნის ღირსი არიან. ორასი წლის წინ აშშ-ის კონსტიტუციაში ერთ-ერთ პირველ შესწორებად შეტანილ იქნა საკითხი ტვირთების გადატანის თაობაზე, რაც საქმოსნობის განვითარების უმთავრესი პირობა იყო და მაქსიმალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ იმ პირებს, ვინც ტვირთების გადატანაზე უკანონო ზეგავლენას მოახდენდა. სწორედ ორასი წლის შემდეგ საქართველოში მოიყვანეს რა წესრიგში და განდევნეს ტრასებიდან „უკანონო შეიარაღებული ფორმირებები“, საგზაო პოლიციამ ელვისებურად განავითარა ტვირთებზე კონტროლის საქმიანობა და მიმდინარეობს განუკითხავი (თუმცა, თუ ტაქსაცის სტაბილურობას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, მთლად განუკითხაობაც არ ეთქმოდეს) დაბეგვრა მძღოლებისა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოლიციელები გაჭირვებით კი არ იმართლებენ თავს, არამედ, ძლიერ სარისკო სამსახურით.

რითი განსხვავდება დასავლეთის ადამიანი პოსტსაბჭოელისაგან? ეს კითხვა მრავალჯერ დასმულა და ერთ-ერთ საინტერესო პასუხს გვთავაზობს გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ჰენდრიკ სმიტი, რომელმაც დიდტანიანი წიგნი დაწერა საბჭოთა კავშირის შესახებ. კაოგად რომ ჩავიცვათ ცუდად ნაცმულ საბჭოელს, გავუმჯობესოთ ცხოვრების მძიმე პირობები, დაგვემსგავსება თუ არა იგი ჩვენო, კითხულობს იგი და უარყოფითად პასუხობს. მისი აზრით საბჭოელი „ხაზეინია“ ან „ხაზეინის“ ქვეშევრდომი. ჩვენ მართლაც ბევრი ვიძახეთ — გაუმარჯოს თავისუფლებას, მაგრამ „ხაზეინებად“ და „ხაზეინის“ ქვეშევრდომებად დავრჩით. დღემდე დავეძებთ მხსნელს და ეკლესიებშიც კი ჩვენი ეგზალტირებული თვალები ხატებს ისე უცქერიან, როგორც ციურ ყოვლისშემძლე „ხაზეინებს“. მოქალაქეობრივი თავისუფლება ეს კერძო ინიციატივა და თვითგამოხატვის სურვილია. ამ სურვილის გარეშე კაპიტალიზმის პირობებში ჩვენი საზოგადოება დაიღუპება.

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენშიც გაჩნდა ფრაზა: ჟურნალისტიკა მეოთხე ხელისუფლებაა. ქვეყანაში, სადაც არც პირველი, არც მეორე და მესამე ხელისუფლება ნორმალურად არ ფუნქციონირებს, ძნელია ილაპარაკო მეოთხე ხელისუფლებაზე. სწორედ ამ ვითარების მტკივნეული რემინისცენციაა ის, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ ნაცემი და შეურაცხყოფილი ჟურნალისტების წინაშე ბოდიშის მოხდის ნაცვლად სამართალდამცავმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს გარკვეული ნორმები, რომლის ჩარჩოებშიც უნდა ჩაეტიონ ჟურნალისტები. ჟურნალისტიკა ეს არაა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების სამსახური. ესაა საზოგადოების სარკე და, თუ ვინმეს თავისი თავი არ მოსწონს სარკეში, ჯობია ვარცხნილობა შეიცვალოს, ვიდრე სარკის მტვრევას მიჰყოს ხელი.

ანდრე ჟიდმა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა, ასეთი ფრაზები დაწერა, იქ მუშებმა დაამხეს ბურჟუაზია, მაგრამ მალევე აღმოჩენდა გამძღარ მუშათა ბურჟუაზიაო. დღეს იმ გამძღარ მუშათა ბურჟუაზიის შვილები სულიერი და სნეულებრივი შიამომავლები თავიანთი წინაპრების გზით ცდილობენ „გაძღომას“, რასაც ჩვენი ქვეყნის პირობებში კაპიტალის დაგროვების მწვავე პერიოდს უწოდებენ. ხშირად ისმის, რომ ყველა ნორმალურმა ქვეყანამ გაიარა ასეთი მტკივნეული გზა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ის ქვეყნები დღევანდელობამდე მხოლოდ კანონიერებამ და საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირებამ . მიიყვანა. ალბათ არაა აუცილებელი გაველურება, რომ ნორმალური სახელმწიფოს აშენებაზე ფიქრი დავიწყოთ.

დღეს ჩვენ ღირსებაშელახული ადამიანების ერთობლიობას წარმოვადგენთ, მაგრამ თუ ამას გაჭირვებასა და გადარჩენის ინსტინქტს მივაწერთ, რამდენმა ადამიანმა არ დააბიჯა ღვთისმშობლის ხატს, როცა ჯალალედინმა თბილისი აიღო? და რამდენმა ადამიანმა გადაალაჯა საკუთარ ღირსებას დღეს აფხაზეთში? სამეგრელოში? ჩვენს ყოველდღიურობაში?

ვახტანგ კომახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲡ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 115 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ...

ᲘᲧᲝ დრო, კომუნისტების მიერ გაწითლებულ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სტალინის დაბადების დღე 21 დეკემბერი დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სტალინის მიერ შექმნილმა იმპერიამ თავისი დრო მოჭამა, მაგრამ დატოვა იმ ეპოქისადმი ნოსტალგიური განწყობილება ადამიანებში, ვინც იმ ეპოქას ემსახურებოდა, ვინც მას ფეხი აუწყო და წლების მანძილზე რწმენით აღვსილი მიუყვებოდა კომუნიზმის მაშენებელ გზაშარას. ეს ადამიანები, სტალინის გამონათქვამისა არ იყოს, მართლაც სხვა მასალისაგან არიან შექმნილნი და თავიანთი ბელადის მსგავსად არავის და აოაფერს ცნობენ, გარდა იმ იდეისა და იმ იდეის შემქმნელებისა, რაც კომუნიზმის სახელით მოევლინა კაცობრიობას. ისინი დღეს კომუნიზმის იდეის საყოველთაო მსხვრევის ფონზე სამუზეუმო დასახლების ბინადართ მოგვაგონებენ, მათი ცქერა მხოლოდ იმ კუთხით თუ შეიძლება.

მაგრამ, ეტყობა ასე არ ფიქრობენ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და უკანასკნელ ხანს ოფიციალური საინფორმაციო საშუალებებით საკმაოდ ცდილობენ სტალინის სახელის ფერფლიდან აღზევებას, მის „საგმირო“ საქმეთა წარმოჩენას და ისტორიის გაყალბების გზით ქართული საზოგადოების მსოფლმხედველობრივ დეზორიენტაციას. ტყუილად არ თქმულა სტალინის დაბადებიდან 115 წლისთავის აღმნიშვნელ შეკრებაზე ეროვნული მოძრაობის მიერ ხელიდან გაგდებული საქვეყნო დროშა ჩვენ, სტალინისტებმა უნდა ავიტაცოთ და არავის დავანებოთო. საბჭოთა ინტერნაციონალიზმის მიმდევარი საქართველოს მე-5 კოლონა სტალინისტების, კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების მეთაურობით, სახელისუფლო ინსტანციებში ჩაბუდებულ ეროვნულ-კაპიტულანტებთან ერთად მზად არიან სტალინურად იაროონ, საქართველოს მიწა-წყალს დახარბებულ ოს და აფხაზ სეპარატისტებს ქართველთა ინტერესების ხარჯზე გაუფართოონ უფლებები, მზად არიან „დედა რუსეთის“ „სამეგობროდ“ ჩამობიჯებულ ჩექმას ხელი გაუწოდონ, რადგან ეს ჩექმა მათი ხელისუფლების სამარადჟამო უზრუნველყოფის საფუძველია. იმპერიული მსოფლმხედველობით გონდაბინდულნი და ნებით თუ უნებლიედ რუსეთის ინტერესებს თავშეწირულნი, „ქართლის ჭირის“ ვერმცნობელნი გამხდარან და მათ დაღარულ შუბლს ერის ნიში აღარ ადევს.

დღეს ისინი ზეიმობენ, დღეს მათი დრო დამდგარა. ქართულ ეროვნულ მაჯისცემას სიცოცხლის ნიშანწყალი ლამის არ ეტყობა, ქართული სახელმწიფოს შენობა ნანგრევებად არის ქცეული. მხოლოდ ზოგიერთს გაჰკრავს გულში იმედისმომცემი სტრიქონები — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“. მომავალი კი ბურუსით არის მოცული.

ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ

ᲫᲝᲑᲐᲚᲘᲐ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲡ, ᲛᲝᲨᲘᲛᲨᲘᲚᲔ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ...

ᲠᲐᲛᲚᲔᲜᲘᲛᲔ დღეა პატივარი კარლგ (ლითი) ქობალია სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრის მოლოდინში შეშფოთებული. რეფორეგ გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ჯანლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, პატიმრის ხერს პირადად სახელმწიფოს მეთაურს გადასცეს მსოფლიოს ცნობილი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოებები და ინფორმაციები.

სახელმწიფოს მეთაური, ბგონებ, ქვეყნის ინტერესების უპირველესი დამცველი უნდა იყოს და თუ საჭმე ეხება საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, რატომ უნდა იქცას უარი, იუნდაც პატიმრთან შეხვედრაზე. ჩემთვის და ალბათ ბევრისთვის გასაკვირია, მოთუმეტეს, ამ ადამიანზე ერთ დროს, ოღონ შეკვრდნაძის სიტყვებით, ხოხუმისა და აფხაზეთის ბედი იყო დამოკიდებული.

Გ. ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

პირველი გვერდიდან

პროფესიები, რომელნიც მლიქვნელობას მოითხოვენ კიდეც, ეს ხალხი იქ განვაწესოთ და პურიც თავისი ნიჭის ხარჯვის შესაბამისად ჭამონ.

ერთი სიტყვით, მე გთხოვთ, ყოველი სიტყვისა თუ ქმედებისწინ გაიხსენოთ, ეს სიტყვა, ან ეს ნაბიჯი ემსახურება თუ არა სახელმწიფოს ინტერესს. ამ განწყობის ადამიანებმა არ შეიძლება საერთო ვერ მოძებნონ ერთმანეთში და ქვეყანა ვერ გამოიყვანონ კრიზისიდან. მე ამით დავამთავრებ, გმადლობთ.

— მე-5 მიკროფონი, ბატონი ჯაბა იოსელიანი გვთხოვს სიტყვას. ჩართეთ მე-5 მიკროფონი.

— ბატონებო მე ბევრი ლაპარაკი იცით რომ არ მიყვარს. ჩემს თავს მე ციხეშიც გავიტან და ხის კენწეროზეც. ჩათვალეთ რომ მაშველთა კორპუსის პრობლემა მოხსნილია. როგორც გადაწყვეტს პარლამენტი ისე მოვიქცევით. დაგჭირდებით, დაგვიძახეთ, არ დაგჭირდებით და უკეთესი, ე.ი. უჩვენოდაც კარგად მიდის საქმე. გმადლობთ.

— მე-3 მიკროფონი.

—ივლიანე ხაინდრავა, ფრაქცია რესპუბლიკელები ბატონებო, გარწმუნებთ რომ ჩვენთვის ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის და არასოდეს ყოფილა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონ შევარდნაძის ეს განაცხადი მთლიანად ეთანხმება ჩვენს მიერ არჩეულ გეზს და დღეიდან გასაყოფი აღარაფერი გვაქვს. დღეიდან ახალი ურთიერთობები უნდა დამყარდეს არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორისაც.

—ირაკლი წერეთელი. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

ბატონო ედუარდ, მიპასუხეთ კონკრეტულად, რუსის ჯარის გაყვანისი მომხრე ხართ?

—ვარ!

— მე ვხსნი თქვენი გადადგომის მოთხოვნას. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ბატონო ვახტანგ, გთხოვთ ჩამირთოთ მიკროფონი.

გოგუაძე. — გთხოვთ ჩართოთ.

— გურამ მუჩაიძე (სოციალ-დემოკრატიული პარტია) ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენი ქვეყნისათვის შევქმენით, თუ ჩვენი იდეები ქვეყნის ერთობას შეუშლის ხელს, ეს პარტია წყალსაც წაუღია. ბატონო ირაკლი, შემოვდივართ თქვენს პარტიაში... (წერეთელი იცინის, კვდება სიცილით).

— მურმან ომანიძე. დამოუკიდებელი დეპუტატი რუსთავიდან. მე აქ სულ სხვა პარლამენტს ველოდი, დამხვდა სხვა. პირობას გაძლევთ დღეიდან ყველა დეპუტატს ჩემს ბალანსზე ავიყვან. პარლამენტის ხელფასს გაასმაგებულს მთლიანად ვიხდი მე. გმადლობთ.

— აკაკი ასათიანი. ტრადიციონალისტთა კავშირი. ბატონებო რაც აქ ხდება კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმიტომ, რომ ქვეყნად საღი აზრი მკვიდრდება, ურთიერთობებშიც ცხადია, ცუდია იმიტომ რომ აწი ვიდა ვიღას წაეჩხუბება. (ბუნდოვნად იცინის და ჯდება).

— ბატონო ვახტანგ, გთხოვთ სიტყვას, აკაკი ბობოხიძე. რესპუბლიკელები.

იცით რა, აქ ბევრი მყავს განაწყენებული, ერთი-ორს გავარტყი კიდეც, ყველასთან ბოდიში მომითხოვია. მეტს აღარავის გავარტყამ, ცხადია, თუ ძალიან არ მაიძულებენ.

— თემურ ყორჟოლიანი. ბატონო ედუარდ, ეს თუ გქონდათ გულში რას მომკალით ეს ისედაც ხმელი კაცი 31 დღიანი შიმშილობით?

— როინ ლიპარტელიანი, ბატონო ედუარდ, ჩვენი ფრაქცია ყველაზე მრავალრიცხოვანია პარლამენტში. მართალია ეს აქ არავის არ სჯერა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჩათვალეთ, რომ ჩემი ლაშქარი თქვენთან არის. გმადლობთ.

— თენგიზ კიტოვანი. ისა, მე დავიფიცე, სანამ ცოცხალი ვარ აფხაზეთში შესვლისგან ვერავინ დამაკავებს-მეთქი. თუ თქვენ, ბატონო ედუარდ, თქვენს პოზიციებს ბოლომდე დაიცავთ, ჩვენ ერთობლივათ გავიმარჯვებთ. ეს არის სულ.

— თენგიზ სიგუა. ალბათ გაგიკვირდებათ ის, რასაც ახლა ვიტყვი, საყოველთაო შერიგება უნდა მოხდეს ერთი დიდი იდეის საფუძველზე არა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, არამედ საერთოდ ქართულ საზოგადოებაში. ჩვენ უნდა თავზე ნაცარი დავიყაროთ რუსთაველის დანგრევისათვის და ვთხოვოთ ე.წ. ზვიადისტებს შერიგება. დიახ, ჩვენ უნდა შევეხვეწოთ მათ შერიგების შესახებ და წარსული უნდა დავივიწყოთ როგორც მწარე სიზმარი საქართველოს სამომავლო ინტერესისათვის, ვფიქრობ, ასე აჯობებს. მე არ ვამბობ, რომ ისინი არიან ყველაფერში მართლები, მაგრამ არც ჩვენ ვართ მართლები...

— ფრაქცია ნეიტრალები (ნადარაია) დღეიდან ნეიტრალები აღარა ვართ, თქვენიანები ვართ!

— ღვთისშვილთა კავშირი (ზაზა სიხარულიძე) თქვენ ყველას ღვთისშვილები უნდა გერქვათ, დღეიდან არცერთი ვირიშვილი ჩვენს გვერდით.

— რჩეულიშვილი (ეძახის აპარატის თანამშრომელს) მომაცილეთ ეს ეშმაკის მანქანა აქედან (უთითებს ბორჯომის ბოთლზე).

— ნოდარ ნათაძე, ფრაქცია რესპუბლიკელები. უკან მიმაქვს ჩემი წინადადება ესენგისტების სამომავლო სასჯელის შესახებ, ვინაიდან ისინი დღეიდან ესენგისტები აღარ არიან.

— ვახტანგ გოგუაძე. ბატონებო, დღეს, როცა პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსა, როცა სიყვარულმა იმძლავრა, როცა კაცი კაცს დაემსგავსა და ქალი ქალს, ეხლა უნდა წავიდე სპიკერობიდან. ასეთი პარლამენტის სპიკერობა დიახაც ღირს თუ წინააღმდეგნი არ იქნებით, მე ვრჩები ჩემს პოსტზე.

პარლამენტი ადასტურებს სპიკერის გადაწყვეტილებას, ერთი არაქართველი დეპუტატი ჩუმად მიიპარება დარბაზიდან ჩამოზეთილი სახით.

შემოაქვთ შამპანურები და ისმის საცობთა ბათქის ხმა.

ᲐᲛ ᲮᲛᲐᲖᲔ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲔᲦᲕᲘᲫᲐ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისაგან

პატივცემულო მოქალაქენო! ბიზნესმენებო!
საქართველოს უკეთესი მომავლით დაინტერესებულო ადამიანებო!

ჩვენს ქვეყანას აქვს ამოცანები, რომელსაც ერის უდიდესი ძალისხმევა სჭირდება, საჭიროა ხელისუფლებაში ჯანსაღი (ახალი ტიპის) ადამიანების მოსვლა არჩევნების (და არა ძალადობის) გზით, რასაც დიდი ხარჯები ახლავს. საჭიროა სახელმწიფოსთან შეზრდილი მაფიის უვნებელყოფა, რაც ვერ მოხერხდება მანამდე, სანამ ხელისუფლებაში ახალი ადამიანები არ მოვლენ. ეს ძალები დღეს ძლიერია იარაღითაც, ბანდური ორგანიზაციითაც და ფინანსურადაც, სახელმწიფოს და საზოგადოების მართვის არსებული სისტემის წყალობით. მათთან დაპირისპირებას სჭირდება პატიოსან ადამიანთა ორგანიზაცია, ორგანიზაციას კი სჭირდება დაფინანსება.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ისახავს. ჩვენი პარტია, ბევრი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციისაგან განსხვავებით, არასოდეს მიმარ თავს დაფინანსების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა უპრინციპობითა და შემგუებლობით სახელისუფლო სტრუქტურების (თუ პოსტების) გამოყენება შემოსავლების წყაროდ, გამოძალვა ან საეჭვო ხასიათის კომერცია. ჩვენი საქმიანობის დასაფინანსებლად ძირითადად ორი გზა არსებობს: საწევრო გადასახადი (რაც ძალიან მცირეა ჩვენი ამოცანების გადასაწყვეტად) და შემოწირულობა, ამიტომ ვთხოვთ საქართველოს მოქალაქეებს, ყველა პატიოსან ბიზნესმენს, ხელი შეუწყონ კანონით დაშვებული ფორმებით ჩვენი საქმიანობის დაფინანსებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გაძლიერება ცივილიზებული, ღია, პატიოსანი მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის გზით ნიშნავს წესიერი ბიზნესის აღორძინებას, ჯანსაღი ეკონომიკური ვითარების შექმნას, მეწარმეების დაცვას კრიმინალური სამყაროს ზემოქმედებისაგან, კეთილსინდისიერი კონკურენტული გარემოს ფორმირებას. ჩვენ გპირდებით, რომ არ დავაკლებთ ძალისხმევას და ყოველნაირად შევუწყობთ ხელს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნას, სამეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფას, მოსახლეობის სოციალური დაცვის ახალი მექანიზმების ამოქმედებას. ვეცდებით მოგაცილოთ თავიდან სახელმწიფო თუ არასახელმწიფო რეკეტი, ხელი შევუწყოთ პატიოსან და კომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეთა გამოვლენასა და დასაქმებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისათვის ფინანსური მხარდაჭერა ნიშნავს, მომავალში არა მარტო თქვენი საქმის დაცვას, არამედ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სიმშვიდეს და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მთელს ქვეყანაზე, წესრიგის დამყარებას, საქართველოდან იძულებით წასული საქმიანი ადამიანების უკან დაბრუნებას.

ყველა მოქალაქეს, ვისაც სურს მხარში ამოუდგეს ჩვენს საერთო საქმეს და აქვს საშუალება ფინანსური დახმარება გასწიოს, ვთხოვთ მობრძანდეს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5.

მიმართეთ ამ საქმისათვის შექმნილ სპეციალურ საფინანსო კომისიას.
საჭიროების შემთხვევაში დამფინანსებელი პიროვნების კონფიდენციალობა უზრუნველყოფილი იქნება.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.94წ.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 700 რუბლის
შესაბამისი კურსით კუპონებში

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99